ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №186

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობისათვის გამარტივებული წესით საწვავის შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობის გამო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით გამარტივებული წესით საწვავის შესყიდვაზე 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარტივებული წესით საწვავის შესყიდვის მიზნით იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**